

“ტურბო ღილაკით” სარგებლობის წესები

1. ტურბო ღილაკის (შემდგომში: “ტურბო ღილაკი”) გააქტიურება საშუალებას გაძლევთ გააქტიურებიდან² (ორი) საათის განმავლობაში, ისარგებლოთ “სილქნეტის” 100 მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტით ქვემოთ მითითებული პირობების/წესების შესაბამისად.
2. “ტურბო ღილაკით” სარგებლობა (“ტურბო ღილაკის” გააქტიურება) შეუძლია “სილქნეტის” ყველა იმ ფიზიკურ პირ აბონენტს, რომელსაც ინტერნეტი მიეწოდება ოპტიკურ – ბოჭკოვანი ტექნოლოგიითგარდა იმ აბონენტებისა, რომლებიც სარგებლობენ ინტერნეტ პაკეტით – “Formula 1”.
3. “ტურბო ღილაკის” გააქტიურება შესაძლებელია “სილქნეტის” პორტალზე <https://myaccount.silknet.com/> (შემდგომში: “პორტალი”) რეგისტრაციით ან “სილქნეტის” ქოლ – ცენტრში დარეკვით.
4. “სილქნეტის” “პორტალზე” რეგისტრირებულ აბონენტებს “პორტალის” მეშვეობით „ტურბო ღილაკის“ შეძენა შეუძლიათ მხოლოდ იმ IP მისამართიდან, რომელიც მიბმულია “პორტალის” შესაბამის ანგარიშზე (რომელი ანგარიშითაც არის აბონენტი “პორტალზე” რეგისტრირებული).
5. “სილქნეტის” ქოლ – ცენტრში დარეკვის, კოდური სიტყვის (პაროლი) დასახელებისა და წინამდებარე წესებზე დათანხმების შემთხვევაში, აბონენტს გაუაქტიურდება “ტურბო ღილაკი”.
6. “ტურბო ღილაკით” სარგებლობა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ:

- 6.1. "ტურბო ღილაკის" გააქტიურების მომენტში, აბონენტის მომსახურების ლიმიტზე (მომსახურების შემდგომი გადახდის სისტემა) დარჩენილია არანაკლებ 10 (ათი) ლარი;
- 6.2. აბონენტს არ აქვს შეზღუდული/შეჩერებული/შეწყვეტილი ინტერნეტ – მომსახურების მიწოდება.
7. "ტურბო ღილაკის" გააქტიურება შესაძლებელია ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ოდენობით, წინამდებარე წესებში მითითებული შეზღუდვების გათვალისწინებით.
8. "ტურბო ღილაკი" აქტიურდება დაუყოვნებლივ, მოთხოვნისთანავე, ხოლო "ტურბო ღილაკის" დეაქტივაცია (მოქმედების შეწყვეტა), ხორცილდება "ტურბო ღილაკის" მოქმედების ვადის (ორი საათი) ამოწურვისთანავე. აღნიშნული ვადის (ორი საათი) ამოწურვამდე, "ტურბო ღილაკის" დეაქტივაცია (გაუქმება) არ ხდება.
9. "ტურბო ღილაკის" მოქმედების (ორი საათი) განმავლობაში, შეზღუდულია ინტერნეტ მომსახურების პაკეტის/საკომუნიკაციო მომსახურების პაკეტის ცვლილება. ინტერნეტ მომსახურების პაკეტის/საკომუნიკაციო მომსახურების პაკეტის ცვლილება, შესაძლებელია "ტურბო ღილაკის" დეაქტივაციისთანავე ("ტურბო ღილაკის" მოქმედების ვადის ამოწურვისთანავე).
10. იმ შემთხვევაში, თუ "ტურბო ღილაკის" მოქმედების ვადის ამოწურვამდე, აბონენტს შეეზღუდება ინტერნეტ მომსახურება/საკომუნიკაციო მომსახურება, მომსახურების აღდგენის შემთხვევაში აბონენტი ვერ ისარგებლებს "ტურბო ღილაკის" მომსახურებით თუ მისი მოქმედების ვადა არის ამოწურული
11. "ტურბო ღილაკით" სარგებლობის ღირებულება შეადგენს 1,50 ლარს დღე-ს ჩათვლით სარგებლობის ყოველ ჯერზე. აღნიშნული ღირებულება, "ტურბო ღილაკის" გააქტიურებისთანავე ირიცხება აბონენტის ანგარიშზე. "ტურბო ღილაკით" სარგებლობის ღირებულების გადახდა, ხდება ინტერნეტ მომსახურების/საკომუნიკაციო მომსახურების სააბონენტო გადასახადთან ერთად.

შენიშვნა:

- Wi-Fi მოწყობილობით სარგებლობის შემთხვევაში "ტურბო ღილაკის" გააქტიურებისას შესაძლებელია ვერ ისარგებლოთ 100 მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტით, რადგან სიჩქარის გადაცემა დამოკიდებულია თქვენი Wi-Fi მოწყობილობის გამტარუნარიანობაზე. ამ შემთხვევაში, 100 მბ/წმ სიჩქარის

ინტერნეტით სარგებლობა შესაძლებელია პირდაპირი ქსელური შეერთების შედეგად (კაბელის კომპიუტერზე მიერთებით).

- ლეპტოპით სარგებლობის შემთხვევაში, თუ აღნიშნულ მოწყობილობას არ გააჩნია 100 მბ/წმ სიჩქარის მისაღებად/გასატარებლად საჭირო ტექნიკური მაჩვენებლები/პარამეტრები "ტურბო ღილაკის" გააქტიურებისას, შესაძლებელია ვერ ისარგებლოთ 100 მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტით;
- „ტურბო ღილაკის“ აქტივაცია (100 მბ/წმ ინტერნეტ სიჩქარის მიწოდება) ხდება შესაბამისი მოთხოვნის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 5 წუთის განმავლობაში;